



დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი

№ 5793
23.05.16

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

საქართველოს პარლამენტის
დარგობრივი ეკონომიკისა
და
ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის

დასკვნა


საქართველოს კანონის პროექტებზე
„მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ „საქართველოს სამოქალაქო
კოდექსში“ ცვლილებების შესახებ“ „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი
მიმოქცევის კოდექსში“ ცვლილებების შეტანის შესახებ“ და „საქართველოს
პარლამენტის რეგლამენტის პროექტი „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში“
ცვლილების შეტანის შესახებ“
(07-3/468, 22.07.2015)

საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტმა 2016 წლის 18 მაისის სხდომაზე მეორე მოსმენით განიხილა საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“; „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში“ ცვლილებების შესახებ“; „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში“ ცვლილებების შეტანის შესახებ“ და „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტი „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში“ ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტები და მომზადებულად მიიჩნია საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მეორე მოსმენით განხილვისათვის.

ამასთან, წარმოდგენილ კანონპროექტებთან მიმართებაში საქართველოს მთავრობის მხრიდან გამოყენებულ იქნა საქართველოს კონსტიტუციის 93-ე მუხლის მე-5 პუნქტით მინიჭებული უფლებამოსილება, რის საფუძველზეც მთავრობა მხარს არ

უჭერს წარმოდგენილ კანონპროექტებს. აგრეთვე, კომიტეტის სხდომაზე დაფიქსირებულ იქნა საქართველოს ფინანსთა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროებიდან, საქართველოს ბიზნეს ომბუდსმენისა და საქართველოს ბიზნეს ასოციაციის მხრიდან უარყოფითი პოზიცია.

ზურაბ ტყემალაძე



კომიტეტის თავმჯდომარე